

03/04/2024



MES 5 24 0000391317

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 20. 03. 2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:25 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (IV, V საკითხები)

საბჭოს თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (I, II, III საკითხები)

საბჭოს მდივანი: შალვა მესხი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- 3. შალვა მესხი** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
- 4. გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 5. დავით გეგეჭკორი** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- 6. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
- 7. აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 8. ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირებისა და საჯარო მმართველობის პროგრამების ხელმძღვანელი;
- 9. თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
- 10. ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

11. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
12. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
13. **ვასილ კიკუტაძე** – შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
14. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე** – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
16. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
17. **გიორგი მირიანაშვილი** – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. **მაგდა ბოლოთაშვილი** – სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები (სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **ნიკოლოზ ფარჯანაძე**, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ლალი ოდიშვილი**, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4. **ნინო შეყილაძე**, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
5. **ქრისტინა აბულაძე**, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

1. ტრისტან გულბიანი, რექტორი;
2. ჯემალ მაგანია, პრორექტორი;
3. მერაბ მეტრეველი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
4. ირაკლი დოლაბერიძე, მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი;
5. მაია ხურცილავა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ვასილ ლიპარტელიანი, ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. ზურაბ ბერუკაშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი;
8. დავით ობოლაძე, სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

9. ნიკოლოზ გოგოლაძე, სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია:

1. დავით რაზმაძე, პოლკოვნიკი - ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე
2. მარიამ ღამბაშიძე - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ს/პ;
3. თამარ რემიშვილი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ს/პ;
4. სოფიო ფაჩულია - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ს/პ;
5. თეიმურაზ ნიკოლაიშვილი, ოფიცერი-ვიცე-პოლკოვნიკი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ნანა მდინარაძე - ბაკალავრიატის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ს/პ;
7. ლელა ხუბულური - ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილების უფროსი/ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ს/პ;
8. მარინე ცერცვაძე - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ს/პ;
9. ნელი ჭამპურიძე - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ს/პ.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:

1. ბაია ჯაფარიძე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. მიხეილ ტეფნაძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. თეა კორძაძე - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ომარი კიკვიძე - საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი;
3. ჯუმბერი ჩოგოვაძე - საბაკალავრო პროგრამის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზის“ პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა

1. თამთა ცხოვრებაძე - I საკითხი
2. მაია ჭინჭარაშვილი - I საკითხი
3. დავით კაკიაშვილი - I საკითხი
4. ნინო პოპიაშვილი - II საკითხი
5. მიხეილ გიორგაძე - III საკითხი
6. მამუკა ბენაშვილი - IV საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - თამარ ლომინაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ნინო შეყილაძემ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2023 წლის 03 ნოემბრის 1492279 ოქმში დაკონკრეტებულიყო აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
5. აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 03 ნოემბრის სხდომის №1492279 ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების დაკონკრეტების მიზნით.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამა 1

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
5. დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

პროგრამა 2

1. **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - სპორტის მენეჯმენტი
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სპორტის მენეჯმენტის მაგისტრი
5. დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ვასილ კიკუტაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში ყოფნა აკრედიტაციის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი თამთა ცხოვრებაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ზოგადი მიგნებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ ეხებოდა სწავლის შედეგების რუკასა და ფორმირების პროცესს. მისი თქმით, თავდაპირველად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო სწავლის შედეგების რუკა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მათი გამოთხოვა დროულად მოხდა როგორც დამატებითი დოკუმენტაციის სახით. უნივერსიტეტის მიერ ლოგიკურად

დალაგებული სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგების რუკაში მითითებულ გაზომვადობის ხარისხს, რომელიც დაწესებულებას თავისი ხედვით აქვს შემუშავებული. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი მიზნება, იყო ის, რომ უნდა გადაიხედოს შეფასების სისტემა და მოვიდეს შესაბამისობაში განათლების მინისტრის „N3 ბრძანებასთან“. იყო მცირე ხარვეზები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ შეფასების სისტემა იყო ძველი ჩანაწერის მიხედვით ფორმირებული. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია იყო, რომ უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს ციტირების წესს. განსაკუთრებით იმ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეფასებულ ნაშრომებთან დაკავშირებით, რომელთა შეფასების წესი იყო არაერთგვაროვანი.

ექსპერტის თქმით, ერთი რეკომენდაცია გაცემული იყო შიდა ხარისხის მექანიზმებთან დაკავშირებით, რომელიც ხაზს უსვამს, რომ დაწესებულებამ მუდმივად უნდა მოახდინოს იმ სისუსტეების იდენტიფიცირება და ხარვეზების გამოვლენა, რომლებიც ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით და შუამდგომლობით მოიცავს უწყვეტი განვითარების ციკლს, რომელიც გაცილებით პროდუქტიულს გახდის შეფასების სისტემას პროგრამებთან მიმართებით. "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს გარკვეული მიზნებები აქვს სილაბუსების ფორმირებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ლიტერატურის განახლებისა და, ასევე, შინაარსობრივი მოდიფიცირებების მიმართულებით, რომ სასწავლო კურსები, რომლებიც მითითებულია ნარატიულ ნაწილში და ასევე რეკომენდაციებში, ზედმიწევნით პასუხობდეს შინაარსობრივ მოთხოვნებს და ასევე, შინაარსი შესაბამისობაში იყოს სახელწოდებასთან, რომელიც ამ კურსებში არის განსაზღვრული. გარდა ამისა, პრაქტიკის კომპონენტისა და სხვადასხვა სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობების მიმართულებით გამოითქვა მოსაზრება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომ ყოფილიყო დაზუსტებული განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამის ნაწილში, კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობებთან მიმართებით. თუმცა, იდენტური მიმართება არსებობს საბაკალავრო პროგრამის ნაწილში, რომელიც საჭიროებს გაცილებით მეტ სიღრმისეულ მუშაობას, რომ სწორად განისაზღვროს წინაპირობები.

რაც შეეხება ზოგადად პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ამ მიმართულებით, განსაკუთრებით "ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის ნაწილში, ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა ინგლისური ენის შეთავაზებისა და კომპონენტის სწავლების მიმართულების თანხვედრაზე დაშვების წინაპირობებთან. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, რომ თავისუფალია უცხოური ენის კომპონენტი, არჩევითია აბიტურიენტისთვის, არ არის სავალდებულო მაინცდამაინც ინგლისური ენის ჩაბარება, თუმცა, ამავედროულად, შიდა მექანიზმი არ არის ზედმიწევნით განსაზღვრული და გაწერილი, თუ როგორ უზრუნველყოფს ინსტიტუცია სხვა უცხოური ენით მოსული სტუდენტისთვის B1 an B2 დონეზე სწავლების შესაძლებლობას, მაშინ როდესაც ინგლისური ენის კრედიტები არ არის თავსებადი იმ მოცემულობასთან, თუ A1 დონიდან იწყებს სტუდენტი სწავლას. ამ მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ინგლისური ენის კურსების სწავლების სილაბუსი, რომელიც, ექსპერტთა ჯგუფს არ მიუღია, თუმცა ინსტიტუციამ ზეპირსიტყვიერად დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ამ მიმართულებით მომაწესრიგებული მექანიზმი და მათ აქვთ გამოცდილება და პრაქტიკა, განსაზღვრონ ინგლისური ენის ცოდნის დონე იმ აბიტურიენტების, ვინც ჩააბარებს ამ უნივერსიტეტში და შემდგომ უზრუნველყონ მათი სწავლის ხარისხის შესაბამისობა ინგლისური ენის მიმართულებით.

ასევე, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მოსაზრება, რომ ინსტიტუციამ გადახედოს დაშვების წინაპირობები სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გამგრძელებელთა მიმართ, ვინაიდან, პროგრამა ღიაა ყველა დაინტერესებული მხარისათვის და შიდა გამოცდამ უნდა უზრუნველყოს იმ უნარების მიცემა კანდიდატებისთვის, რომლითაც შეძლებენ პროგრამის სრულყოფილად ათვისებას და პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლას. ექსპერტმა არ გაამახვილა ყურადღება გაცემული რჩევების ნაწილზე, თუმცა გამოთქვა მზაობა, ინტერესის შემთხვევაში გაეცა პასუხები კონკრეტულ შეკითხვებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მათა ხურცილავა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „პროგრამის მიზნის და სწავლის შედეგების რუკა დაერთოს პროგრამას“. აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებს. შემუშავების ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა მოახდინა იდენტიფიცირება და კავშირი დაადგინა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, რასაც დაწესებულება დანართის სახით დაურთავს პროგრამას. ანალოგიურად, სწავლის შედეგების რუკასთან და ლოგიკურ ბმასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფი მზად არის, რომ კიდევ ერთხელ გადახედოს და, თუკი რაიმე ლოგიკური შეუსაბამობა არსებობს, საჭიროებისამებრ შეიტანოს შესაბამისი კონკრეტულობა.

შეფასების სისტემასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აკადემიურმა პერსონალმა ტექნიკურად იმუშავა საკუთარ სილაბუსებზე, ხშირ შემთხვევაში მათ გამოიყენეს ძველი ფორმა და ეს გაუგებრობა ამან გამოიწვია. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემულ მე-5 რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს და ხარისხის სამსახური კიდევ უფრო მეტი ყურადღებით დააკვირდება ამ დეტალებს.

მათა ხურცილავამ მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სამაგისტრო ნაშრომში APA Style-ის წესების დაცვის უზრუნველყოფას, აღნიშნა, რომ „APA სტილი“ რეგულაციაში დეკლარირებულია. როდესაც მოხდება სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომების ჩაბარება, შეფასების ნაწილში უნივერსიტეტი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს „APA სტილს“. რაც შეეხება "ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არ არის ენის შეზღუდვა დაწესებული და მიიღება ნებისმიერი უცხო ენის მქონე სტუდენტი. პროგრამის მე-9 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ ჩანაწერს: იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს არა ინგლისური, არამედ სხვა უცხო ენა, მას უტარდება დიაგნოსტიკური ტესტი და ინგლისური ენის სწავლას დაიწყებს A1 – A2 დონიდან, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსების პაკეტი ითვალისწინებს A1 და A2 დონის სილაბუსებს. ექსპერტებთან კომუნიკაციის დროს დაწესებულებამ დამატებით გაუზიარა A1 და A2 დონის სილაბუსები. დაწესებულებაში წლების განმავლობაში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ ინგლისური ენის გარდა ეროვნულ გამოცდებზე სხვა უცხო ენის ჩაბარების შემთხვევაში, სტუდენტები ვალდებული არიან წერონ სადიაგნოსტიკო ტესტი და დონის შესაბამისად განაგრძონ სწავლა, რათა III-IV, VII-VIII სემესტრისთვის მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა ინგლისურ ენაზე გაეცნონ თანამედროვე ლიტერატურას. ასევე, დაწესებულების მიერ ექსპერტებისთვის წარდგენილ იქნა რეგულაცია, სადაც დეტალურადაა გაწერილი დონეების იდენტიფიცირებისა და ტესტირების პროცესი.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია გამოცდა უცხო ენასა და სპეციალობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან რეკომენდაციის გაცემა განპირობებული იყო კურიკულუმში დაშვებული ტექნიკური ხარვეზით. სტუდენტს სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო საგნების კომპონენტი უნდა ჰქონდეს შესრულებული და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სამაგისტრო ნაშრომზე დარეგისტრირება. აღნიშნული ხარვეზი ტექნიკურად უკვე გასწორებულია და ინსტიტუცია გამოთქვამს მზაობას წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რაც შეეხება რჩევებს ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, დაწესებულება გარკვეულ ძალისხმევას მიმართავს და ბიუჯეტშიც არის თანხა გამოყოფილი, იმისათვის, რომ მუდმივად განახლოს ლიტერატურა. დაწესებულება გამოთქვამს მზაობას, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა მიმართოს იმისათვის, რომ თანამედროვე ლიტერატურით განახლდეს სასწავლო კურსები.

სხდომა 14:30 საათზე დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ.

სხდომის თავმჯდომარეობა განაგრძო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სწავლის შედეგების რუკები თუ მას შემდეგ. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, კერძოდ, იგი დაინტერესდა, თუ იყო ექსპერტების მხრიდან ინსტიტუციის მისამართით შეკითხვა დასმული, რამდენად რელევანტურია 2020 წელს ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე პროგრამის განვითარება და თუ მიიღო ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი დადასტურება. ასევე, საბჭოს წევრს ჰქონდა ექსპერტების მიმართ შეკითხვა აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშირებით, კერძოდ, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშირებით საუბარი დაწესებულებასთან და როგორი იყო მათი არგუმენტირებული პასუხი. 15 აკადემიური პერსონალიდან მინიშნებულია, რომ აფილირებულია მხოლოდ 9. ასეთ შემთხვევაში თანაფარდობა გამოდის 9/11.

ექსპერტმა თამთა ცხოვრებაძემ განაცხადა, რომ სწავლის შედეგების რუკები ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებით, რომლის დოკუმენტის პირველი ვერსია წარმოდგენილი იყო ერთ-ერთ პროგრამაში. ნარატიულ ნაწილში მითითებულია მიგნებები ექსპერტების პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც არ აჯამებდა იმ სწავლის შედეგებს, რომლებსაც სტუდენტი მიიღებდა პროგრამის ფარგლებში, თუმცა პრაქტიკის სილაბუსით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ამრიგად, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგები და რუკები ერთმანეთთან. ასევე იგივე მიმართებები არის მე-8, მე-9 და ასე შემდეგ სწავლის შედეგთან, რომელიც დეტალურად არის ნარატიულ ნაწილში მითითებული. სწორედ აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგები და რუკები ერთმანეთთან. სწორად და თანადროულად გაიზომოს იმ სწავლის შედეგის მიღწევის ხარისხი, რომლებიც აღნიშნულ პროგრამებს აქვთ დეკლარირებული თავისი შეფასების ფარგლებიდან გამომდინარე.

თამთა ცხოვრებაძის თქმით, 11 აფილირებულ პერსონალს აქვს შესაბამისი მიმართულება დარგის სპეციალობით. 4.1 კომპონენტში მითითებულია თითოეული პროგრამის ფარგლებში რამდენი პერსონალი ემსახურება პროგრამას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაისვა კითხვები ექსპერტთა ჯგუფის მიერ და მოსმენილ და გაზიარებულ იქნა ინსტიტუციის პოზიცია ამ მიმართულებით. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ გამრავალფეროვნდა სტატისტიკური მაჩვენებლები აკადემიური პერსონალის მოზიდვასთან დაკავშირებით და ასევე დაადასტურა ინსტიტუციამ მზაობა, რომ სამომავლოდაც გაგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობა.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ნამდვილად 2020 წელს ჩატარებული კვლევის ანალიზია წარმოდგენილი, თუმცა, დაადასტურა, დაინტერესებული მხარეების და განსაკუთრებით სპორტის მიმართულებით პოტენციური და არსებული დამსაქმებლების ძალიან აქტიური და ღრმა ჩართულობა, რომელიც გამოიკვეთა ასევე ინტერვიუების დროს. ტენდენციები, მათ შორის, მოთხოვნებიც, რომლებიც შესაბამისობაში იყო და გაზიარებული ჰქონდათ მენეჯმენტთან ასევე იმსახურებს აღნიშვნას. გამოიკვეთა, რომ აქტიურად თანამშრომლობენ და ავსებენ მონაცემებს პერიოდულად იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომ საკმაოდ დინამიური და განვითარებადი დარგი გახლავთ. აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობა გახლდათ ერთ-ერთი პოზიტიურ მხარე, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა კიდევ ვიზიტის დროს, ძირითადი მიგნებების გაზიარების ეტაპზე.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, თუ რომელი წლის იყო უახლესი ლიტერატურა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. აკაკი ხელაძემ ასევე კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, პროგრამა „Strike

Plagiarism”-ი, რომელსაც დაწესებულება იყენებს, ღია წყაროს წარმოადგენს თუ მასში უნივერსიტეტი თანხას იხდის. მეორე კითხვა მიემართებოდა პროგრამის ბიუჯეტს, მისი თქმით, მთლიანად პროგრამის შემოსავალია 216 000 ლარი, ხოლო ნაშთი 201 000 ლარი. მოწვეული და აკადემიური პერსონალის ხარჯს წარმოადგენს 150 000 ლარი. აკაკი ხელაძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოს წევრებისთვის.

ექსპერტმა თამთა ცხოვრებაძემ განაცხადა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში უმეტეს შემთხვევაში მითითებული ლიტერატურა აჭარბებდა 10 წლის პერიოდს, ანუ განახლებული ლიტერატურა იყო 2011 - 2012 წლის მდგომარეობით და მანამდეც. აქედან გამომდინარე დადგა შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის საჭიროება. იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ვიზიტის ფარგლებში დაინახა ექსპერტთა ჯგუფმა, მიიჩნია რომ 2011 – 2012 წლის დროინდელი ლიტერატურა თანამედროვე მოთხოვნებსა და ტენდენციებს ვერ დაეწეოდა და შესაბამისად, უმჯობესი იქნება თუ ინსტიტუცია ამ მიმართულებით გააძლიერებს ძალისხმევას სტუდენტებისთვის თანამედროვე ლიტერატურის შეთავაზების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ „Strike Plagiarism”-ის გამოყენება ფასიანია და მის ხარჯებს უნივერსიტეტი სრულად ფარავს. დაწესებულება ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას იზიარებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოში ინსტიტუცია წარმოადგენს ერთადერთ პროფილურ უნივერსიტეტს სპორტის მიმართულებით, შესაბამისად, ექსპერტებთან საუბარშიც ღიად დააფიქსირა ის გამოწვევები, რაც სპორტის მენეჯმენტის, სპორტის მარკეტინგის სახელმძღვანელოების მიმართულებით არსებობს. თუ თავად დაწესებულებამ არ შექმნა ახალი ლიტერატურა, სხვა ინსტიტუციები არ ქმნიან, შესაბამისი პროფილის არქონის გამო. შესაბამისად, მეტი ძალისხმევა მართებს დაწესებულებას ამ მიმართულებით და გამოთქვამს მზაობას დარგის განვითარებისთვის და კვალიფიციური კადრების გამოშვების მიზნით, ახალ ნაშრომებზე, ერთის მხრივ, აკადემიურმა პერსონალმა იმუშაოს შესაძლებლობების ფარგლებში, ხოლო მეორეს მხრივ, შეისყიდოს ოფიციალური უფლება სახელმძღვანელოების თარგმნაზე, რომლის თანხაც ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. წინა ვიზიტის შემდეგ გარკვეული სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავდა რიდერები.

შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2020 წელს განახორციელეს ბაზრის კვლევა. ამავე წელს მიმდინარეობდა პროგრამის შემუშავების პროცესი, რომელსაც 2021 წელს მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. შესაბამისად ამ პერიოდის შემდეგ დაწესებულებას შრომის ბაზრის კვლევა არ განუხორციელებია. თუმცა, შრომის ბაზრის ნაწილია საჭიროებების იდენტიფიცირება, სადაც აქტიურად არიან ჩართულები ინსტიტუციის კურსდამთავრებულების მოლოდინში მყოფი ფედერაციისა და სპორტული კლუბების წარმომადგენლები, რაც ექსპერტების მიერაც აღინიშნა. მაქსიმალურად მოხდა მათი სურვილების და ინტერესების გათვალისწინება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ბიუჯეტთან დაკავშირებით დასმული კითხვის შესახებ განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზია გაპარული, რომელიც უახლოეს მომავალში გამოსწორდება. პროგრამა ნამდვილად გავიდა მოგებაზე და ხარჯების იქეთ ნამდვილად დარჩა გარკვეული თანხა.

საბჭოს წევრმა შალვა მესხმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, რეკომენდაციებში მოცემულია პრაქტიკის კომპონენტზე დაშვების წინაპირობის დაზუსტება. მას აინტერესებდა, აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენდა თუ არა ტექნიკურ ხარვეზს. დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ხურცილავამ განაცხადა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი. შესაბამისად, სტუდენტი პრაქტიკაზე ვერ დაიშვება თუ სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტებს არ გაივლის. ექსპერტმა თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსში მითითებული არ იყო პრაქტიკის კომპონენტზე დაშვების წინაპირობა, თუმცა ინტერვიუების დროს ეს დადასტურდა. ამის შემდეგ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა

განახლებული სილაბუსი. გარდა ამისა, დაწესებულებას პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით წარმოდგენილი ჰქონდა ორი იდენტური სილაბუსი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამისთვის, ამიტომაც ამ მიმართულებითაც გაიცა რეკომენდაცია. დაწესებულება წარმოადგინა სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი კომპონენტის სილაბუსი, თუმცა მაინც ექსპერტთა მოსაზრებით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის და სწავლების შედეგების შესაბამისობაში მოყვანას სამაგისტრო საფეხურით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, ანუ დონის შესაბამისი სწავლის შედეგების ფორმირებასთან დაკავშირებით მოხდა რეკომენდაციის გაცემა. თუმცა, პრაქტიკის ნაწილში დაშვების წინაპირობები განემარტათ ექსპერტებს ადგილზე, რომ აუცილებლად კონტროლდება, რამდენად არის ყველა სავალდებულო კურსი დაფარული იმისათვის, რომ პრაქტიკის კომპონენტზე დაიშვას სტუდენტი.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაწესებულებას მიმართა, რომ პლაგიატთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. მისი თქმით დაწესებულების მიერ გამოყენებული პროგრამა ადგენს თანხვედრას. საბჭოს წევრი დაინტერესდა დაწესებულებას თუ ჰქონდა პლაგიატის გამოვლენის პრაქტიკა და დადებით შემთხვევაში, თუ როგორი რეაქცია მოჰყვება ინსტიტუციის მხრიდან აღნიშნულ ფაქტს. დაწესებულების წარმომადგენელმა მათ ხურცილავამ განაცხადა, რომ სანამ სტუდენტი ნაშრომს ჩააბარებს, მანამდე უნივერსიტეტი უკუკავშირს იძლევა სტუდენტის მიერ შემუშავებული ნაშრომის მიმართ. დაწესებულებას წინასწარ აქვს დადგენილი თანხვედრის გარკვეული დასაშვები პროცენტულობა. თუ ამ ზღვარს აღემატება თანხვედრა, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია მის გასასწორებლად. დაწესებულებაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ პლაგიატის გამო ნაშრომი გაუქმებულიყო, თუნდაც დასაშვებ პროცენტულობაზე მეტი თანხვედრის არსებობის შემთხვევაშიც. თუმცა, რეგულაცია ასეთ შემთხვევაში ითვალისწიებს შედეგების განულებას და სხვა სამაგისტრო თემის არჩევა უწევს სტუდენტს.

სხდომის თავმჯდომარე, გოჩა თუთბერიძე დაინტერესდა პროგრამების ხელმძღვანელების პოზიციით, თუ როგორ ახდენენ პლაგიატის პრევენციას. "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა დავით ობოლაძემ აღნიშნა, რომ პლაგიატის პრევენციის მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია მაგისტრანტსა და ხელმძღვანელს შორის ურთიერთობა. ამის შემდგომ უკვე ნაშრომი გადის ტესტს პლაგიატზე შესაბამისი პროგრამის გამოყენებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სტუდენტის მიერ მასალის მოძიება და მისი სწორად დამუშავება. პერსონალი ამ მიმართულებითაც არის ჩართული, რათა მაქსიმალურად შემცირდეს პლაგიატის ფაქტები.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, თუ რა პერიოდი დასჭირდება უნივერსიტეტს დასკვნაში მოცემული ყველა რეკომენდაციის შესასრულებლად. მათ ხურცილავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული ყველა რეკომენდაციის შესასრულებლად დაწესებულებას 6 თვე დასჭირდება, თუმცა ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციის შესრულებას შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს, 1 წლამდე.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს და ინსტიტუციასაც. მისი შეკითხვა ეხებოდა მხოლოდ საბაკალავრო პროგრამას. კერძოდ, მას აინტერესებდა, რამდენად იძენს სტუდენტი საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციას. მეორე კითხვა ეხებოდა დასკვნაში მითითებულ შემდეგ რჩევას: „უფრო მეტად მოვიდეს შესაბამისობაში „სპორტული ეთიკის“, „სპორტში ლიდერობის“ და ა.შ. სილაბუსები სამაგისტრო დონესთან“. მას აინტერესებდა, რამდენად არის ეს რჩევა და არა რეკომენდაცია, და რას ნიშნავს „უფრო მეტად“. ექსპერტმა თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მოსაზრებები ავტონომიურობის ხარისხთან დაკავშირებით, საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ გამოვიდა პრაქტიკის კომპონენტების სწავლის შედეგების ფორმირებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან. თუმცა ვინაიდან საბაკალავრო პროგრამას მიემართება ეს კითხვა, კრიტიკული არ გახლავთ ავტონომიურობის ხარისხი. მეორე კითხვასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ

აღნიშნული რჩევა ფორმირებულ იქნა იქედან გამომდინარე, რომ გარკვეული საკითხები, და არა სრულად მთელი სილაბუსი, მიემართებოდა გარკვეულწილად იმ საკითხებს, რაც უკვე დაფარული იყო საბაკალავრო პროგრამის სილაბუსების ფარგლებში. თუმცა ექსპერტთა მიდგომა გამოიხატა რჩევაში, იქედან გამომდინარე, რომ სწავლის შედეგების მიღწევის საკითხი მთლად კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. სტუდენტებისთვის რომ იყოს ცხადი, რა ცოდნას შეიძენენ თითოეული პროგრამის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ რჩევის სახით ყოფილიყო ფორმულირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს. მისი თქმით, ვინაიდან საბაკალავრო პროგრამას პირობითი აკრედიტაციის ვადა გასდიოდა 6 დეკემბერს, დაწესებულებამ ისარგებლა კანონით დაშვებული უფლებით და მოითხოვა სემესტრის დასრულებამდე სტუდენტებს მისცემოდათ შესაძლებლობა სწავლა გაეგრძელებინათ იმავე პროგრამაზე აკრედიტირებულ რეჟიმში. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა თხოვნით, მის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 20 მარტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:04

დასრულების დრო: 15:48

პროგრამა 1

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²- ემუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“¹ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების

და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 20 მარტამდე, წელიწადნახევრის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

პროგრამა 2

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27²- ემუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“¹ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 20 მარტამდე, წელიწადნახევრის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

- რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს თან ახლდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები.
- რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა და ორივე პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა-სქემის ლოგიკურად დაკავშირება კურსის/კომპონენტის შესაბამის სასწავლო შედეგებთან.
- რეკომენდებულია სტუდენტების შეფასების სისტემის განახლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.

- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის მკაფიო მითითებების მიცემა ლიტერატურული წყაროების ციტირების შესახებ და სამაგისტრო ნაშრომში APA Style-ის წესების დაცვის უზრუნველყოფა.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურმა, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, მუდმივად იმუშაოს სილაბუსებსა და სასწავლო გეგმებში გამოვლენილი სისუსტეების, უზუსტობების აღმოფხვრაზე, თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებისა და პროგრამის შეფასებისას.

პროგრამული რეკომენდაციები: პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

- რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შემუშავება.
- რეკომენდებულია გარკვეული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (ბუღალტერიის საფუძვლები, ბიზნეს სამართალი, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციათა მენეჯმენტი, სპორტული მარკეტინგი) უახლესი ქართული გამოცემებით ან ქართული რიდერების მომზადება თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურისთვის.
- რეკომენდებულია კურსის „ლიდერობა“ შინაარსის კორექტირება მისი სათაურის შესაბამისად და რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ლიდერობის საკითხებს.
- რეკომენდებულია, მიეთითოს, უცხო ენის ცოდნის კუთხით, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და/ან შექმენით კურსები, იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ინგლისური ენა სათანადო დონეზე არ იციან.

პროგრამული რეკომენდაციები: პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკას და ლოგიკურად გადმოსცეთ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი.
- რეკომენდებულია, პროგრამაში შემავალი სასწავლო (სასწავლო კურსები), პრაქტიკისა და კვლევის (სამაგისტრო ნაშრომის) კომპონენტებზე დაშვების წინაპირობის დაზუსტება.
- რეკომენდებულია კონკრეტული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ., სპორტული ობიექტების სტრატეგიული მართვა, სპორტული ღონისძიებების სტრატეგიული მართვა, სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი).
- რეკომენდებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სახელებისა და შინაარსის ერთმანეთთან მისადაგება (მაგ. სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი, მენეჯერული ეკონომიკა სპორტში).
- რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსის დიფერენცირება საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსისგან. ასევე, „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის“ სილაბუსის გამოყოფა საბაკალავრო პროგრამის „სპორტის მენეჯმენტის“ კურსის სილაბუსისგან.
- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებული მოთხოვნები და/ან შექმენით კურსები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ სპორტის მენეჯმენტის სფეროში საკმარისი ცოდნა/გამოცდილება.
- რეკომენდებულია, განახლდეს მაგისტრატურის პრაქტიკის სილაბუსი და მოიყვანეთ მაგისტრატურის დონესთან შესაბამისობაში.

- **რჩევები:**

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ კიდევ უფრო გაააქტიუროს მუშაობა პროგრამების შემუშავების პროცესში, რათა ეფექტურად გამოიყენოს კურსდამთავრებულთა დაპოტენციური დამსაქმებლების რესურსები.
- სასურველია, დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს შრომის ბაზრის დარგობრივი კვლევები, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე სპორტის მენეჯმენტის სპეციალისტებზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.
- სასურველია, თუკი პროგრამა გაითვალისწინებს უფრო ხანგრძლივ სტაჟირებას, სტაჟირებას სპორტულ ასოციაციებთან თანამშრომლობით და სტაჟირებას სადიპლომო ნაშრომთან ერთად.
- სასურველია, სწავლებისა და სწავლის მეთოდების დივერსიფიკაცია კურსების სპეციფიკის შესაბამისად.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკების განახლება, რათა იყოს უფრო გამჭვირვალე და დეტალური.
- სასურველია, სტუდენტების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, დამსაქმებლების ჩართულობით, სტუდენტებისთვის სხვადასხვა სემინარის და ვორქშოფის ხელშეწყობა და ორგანიზება.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის ინსტრუქციის შეტანა „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმების დებულებაში“;
- სასურველია, რომ უსდ დაფიქრდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასების დამატებითი მექანიზმების შემუშავებაზე, ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.
- სასურველია, უსდ დაფიქრდეს დარგობრივი ექსპერტიზის მქონე მეტი აკადემიური პერსონალის აყვანაზე და დამსაქმებლების მეტად ჩართულობაზე ვორქშოფების, ტრენინგებისა თუ სემინარების ჩასატარებლად.
- პერსონალის განვითარებისა და პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად, მიზანშეწონილია სხვადასხვა ღონისძიებაში პრაქტიკის მეტი ექსპერტისა და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა, შესაბამისი პერსონალის მოზიდვა პროექტის მენეჯმენტისა და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ ცოდნის გასაზიარებლად, რაც მიზნად ისახავს პერსონალისთვის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას.
- უკეთესი იქნება, თუ სტუდენტებს ელექტრონულ საერთაშორისო ბაზებზე წვდომა ექნებათ არა მხოლოდ საუნივერსიტეტო ქსელიდან.

პროგრამული რჩევები: პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

- სასურველია სასწავლო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობების გამოსწორება;
- სასურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს „სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები“ არჩევით კურსად.
- სილაბუსებში მოცემული ლიტერატურისთვის, სასურველია, მიეთითოს გამოცემის წლები.

პროგრამული რჩევები: პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

- სასურველია, გაიზარდოს არჩევითი კურსების ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის ძირითად სასწავლო სფეროსთან, როგორცაა: მენეჯერული

აღრიცხვა და გადაწყვეტილების მიღება, ლოგისტიკის მენეჯმენტი სპორტში, რისკის მართვა სპორტში.

- მიზანშეწონილია, გადაიხედოს გარკვეული კურსების სწავლის შედეგებს, კონკრეტულად თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის, სპორტული ეთიკის, სპორტში ლიდერობისა და სპორტის სტრატეგიული მარკეტინგის მიმართულებით, რათა ისინი უფრო მეტად შეესაბამებოდეს სამაგისტრო დონის პროგრამას.

2. მეორე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

2. საფეხური - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

3. სწავლების ენა - ქართული

სხდომას 15:50 საათზე შემოუერთდა დიმიტრი ჯაფარიძე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის წევრის შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტი ნინო პოპიაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიამ წარმოადგინა მონიტორინგის ანგარიში. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო 4 რეკომენდაცია და 3 რჩევა. რეკომენდაციები ეხებოდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ დოკუმენტთან თავსებადობის საკითხს, კერძოდ, პროგრამის სტრუქტურაში შესულიყო დარგობრივი დოკუმენტის შესაბამისად ცვლილებები. გარდა ამისა, პირველი სემესტრიდან სტუდენტები განაწილებულიყვნენ „A“ და „B“ დონეებად საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით. ასევე, მეორე სემესტრიდან შემოდებულიყო სავალდებულო დარგობრივი კურსები ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისათვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია და 3 რჩევა გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარიამ დამბაშიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, დაწესებულებაში არის თუ არა ორი მოწვეული ლექტორი და პროგრამის ხელმძღვანელი სხვა უცხო ენის კვალიფიკაციით ჩართული საგანმანათლებლო პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარიამ დამბაშიძემ განაცხადა, რომ სანამ უნივერსიტეტი ერთწლიან ანგარიშს გაუზიარებდა ექსპერტებს, მანამდე აკადემიაში იმყოფებოდა ერთი იუნკერი ეთნიკური უმცირესობიდან. ერთ იუნკერზე მოწვეული იყო ორი პედაგოგი, რომელიც აკადემიაში დასაქმებულია 12 წელი. შესაბამისად, მდგრადობის საკითხი ამ მიმართულებით ექსპერტთა მიერ არ დასმულა. ამ ეტაპზე სამი აქტიური სტატუსი მქონე იუნკერი სწავლობს პროგრამაზე. დასკვნაში არ არის მითითებული თუ რას გულისხმობს იუნკერთა რაოდენობის ზრდა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად მოხდება ცალკე შტატის განსაზღვრა და შესაბამისი კვალიფიკაციის პირის აყვანა. პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამჟამად პროგრამის ხელმძღვანელი არის პროფესიით ინგლისური ენის ფილოლოგი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:00

დასრულების დრო: 16:24

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, შესაბამის დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტის შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “მასწავლებლის მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.
2. საფეხური - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
3. სწავლების ენა - ქართული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტი მიხეილ გიორგაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიცა 5 რეკომენდაცია. დაწესებულებამ ხუთი რეკომენდაციიდან ოთხი სრულად შეასრულა. მისი თქმით, რეკომენდაციები ეხებოდა როგორც შინაარსობრივ, ისე ტექნიკურ საკითხებს. სასწავლო კურსების ნაწილში არ იყო განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუმცა დაწესებულების მიერ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა და მოდიფიცირდა სასწავლო კურსების სილაბუსები, შეფასების სისტემა და განისაზღვრა მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთ სასწავლო კურსში, კერძოდ, „თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის“ სილაბუსში არ იყო მითითებული საკმარისი ლიტერატურა და სასურველი იყო უნივერსიტეტს მოეხდინა რიდერების გაკეთება. დაწესებულებამ და შესაბამისი კურსის ავტორმა მოამზადა რიდერები, რომლებიც სრულად არის შესაბამისობაში სასწავლო კურსის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგების შეფასების პროცესის მიმართ გაცემულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა. ინსტიტუციამ შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო პროგრამის სამუშაო ჯგუფისთვის, რომელიც შეიცავს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავების ინსტრუქციას. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სწავლის შედეგების მექანიზმი, განსაზღვრა სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგია და პერიოდულობა. მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, რომ თავდაპირველად პროგრამის ერთ-ერთი მიზანი იყო საგანმანათლებლო სფეროში მასწავლებლის დეფიციტის აღმოფხვრა. ამ ტიპის შინაარსის

მიზანი შეიძლება ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვის ნაწილი გახდეს, რომელიც პროგრამის მიზნებს ასცდება. პროგრამის მიზნები უნდა უკავშირდებოდეს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კომპეტენციების გამომუშავებას, რათა შეფასებითი იყოს. მისი თქმით, დაწესებულებამ მიზნის ეს დებულება შეცვალა, თუმცა შინაარსი იგივე დატოვა. ამჟამინდელი პროგრამის ერთ-ერთი მიზნის დებულება შემდეგია: „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებლის დეფიციტის აღმოფხვრას და პროფესიაში ახალი კადრების შემოსვლას“. აღნიშნული მიზნის მიხედვით დაწესებულებისთვის რთული იქნება ბაზარზე არსებული მოვლენების გაანალიზება და სწორად შეფასება იმისა თუ რა ახდენს მასწავლებლის დეფიციტზე გავლენას. შესაბამისად, ეს საკითხი ისევ საჭიროებს დაწესებულების მხრიდან განხილვასა და გადახედვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ბაია ჯაფარიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პროგრამის თანახემდღვანელმა, მიხეილ ტეფნაძემ ნაწილობრივ შესრულებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. განხორციელებული იქნება შესაბამისი აქტივობები მოცემული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ გადაფასება გამოიწვია სწავლის შედეგების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შეფასების პროცესმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობასა და სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, როგორ აქვს დაწესებულებას წარმოდგენილი სწავლის შედეგების მიღწევადობა და რომელი კურსების ფარგლებში. გარდა ამისა, როგორ არის განსაზღვრული მისი პერიოდულობა. ექსპერტმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, რომ ამგვარი დოკუმენტები დანართის სახით ახლავს თავად დოკუმენტს. ყურადღება გამახვილდა მხოლოდ დაწესებულების მიდგომაზე იმიტომ, რომ ის კომპლექსურად მიუდგა ამ საკითხს. უნივერსიტეტის მიერ განისაზღვრა შესაბამისი გეგმა სწავლის შედეგების შეფასებისთვის, რომელიც პროგრამას თან ახლავს. საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა დაწესებულებას მიმართა, რომ პროგრამის მიზანში ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოს წევრებისთვის. გარდა ამისა, მას აინტერესებდა, როგორ აპირებს დაწესებულება იმ მიზნის ცვლილებას, რომლის მიმართაც გაიცა რეკომენდაცია და უნივერსიტეტმა ნაწილობრივ შეასრულა. პროგრამის თანახემდღვანელმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევიდან გამომდინარე დადგინდა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, კერძოდ, ფიზიკისა და ქიმიის მიმართულებით მასწავლებლების დეფიციტია. შესაბამისად, დაწესებულება ერთი სტუდენტისთვისაც აწარმოებს პროგრამას. სწავლის სხვა მიზნებში იკვეთება შესაბამისი კომპეტენციის კადრის მომზადება. უნივერსიტეტი გეგმავს, რომ ამოიღოს ეს მიზანი და დარჩეს მხოლოდ სწავლის მიზნები. საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენ სკოლასთან აქვს უნივერსიტეტს ურთიერთობა პრაქტიკის განსახორციელებლად. გარდა ამისა, როგორ ხდება პრაქტიკის შეფასება. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა ჩაშენებული პრაქტიკის მიმართულებით მუშაობს. დაწესებულებას ორი ათეულზე მეტ სკოლასთან აქვს ურთიერთობა. გარდა ამისა, შესაძლებელია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით გაფორმდეს მემორანდუმი სკოლასთან. მისი თქმით, პრაქტიკის პირველი ნაწილი მოიცავს დაგეგმვას პრაქტიკის მენტორთან ერთად. მეორე ნაწილი მის განხორციელებას და განხორციელების პროცესში მენტორის უკუკავშირს, ხოლო მესამე სტუდენტის რეფლექსიის ნაწილს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:46

დასრულების დრო: 16:51

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, შესაბამის დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტის შეფასება, ამასთან ნაწილობრივი შესრულებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “მასწავლებლის მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^ბ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “მასწავლებლის მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული. ამასთან, საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევა:

- სასურველია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები. სასურველია პროგრამის მიზანი მოიაზრებდეს მხოლოდ პროგრამის ფარგლებში მისაღწევ მიზნებს, რაც გაიზომება და მიღწევის მაჩვენებელი გაანალიზდება სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1.საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა

2. საფეხური - ბაკალავრიატი

3. სწავლების ენა - ქართული

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერიის ბაკალავრი

5. დეტალური სფეროს კოდი - 0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომას შემოუერთდა თამარ ლომინაძე 16:51 საათზე და განაგრძო საბჭოს სხდომის თავმჯდომარეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

ექსპერტი მამუკა ბენაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ დასკვნაში მოცემული ხუთი სტანდარტიდან პირველი მეტწილად, ხოლო დანარჩენი სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. მისი თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს 3 რეკომენდაციის და 2 რჩევის შესრულებას. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების რანჟირებას. არსებული წესების მიხედვით სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ ის უცხო ენა, რომელიც მათ სკოლაში არ ისწავლეს. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების კომპონენტებს, რომლებიც სილაბუსებში იყო გაწერილი. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა დისტანციურ ელექტრონულ სწავლებას. ამრიგად, დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, თეა კორძაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაიზიარა. ომარ კიკვიძემ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2023 წლის შემოდგომაზე გაფორმდა ხელშეკრულება გამოყენების მეცნიერების უნივერსიტეტთან. აღნიშნულ დაწესებულებაში წამყვანი მიმართულებას ტრანსპორტის მიმართულება წარმოადგენს. უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ჩატარდა ერთობლივი ონლაინ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტის და მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი. კონფერენცია ეხებოდა ეკოლოგიურად სუფთა ძრავებს. სექტემბერში იგეგმება ფართომასშტაბიანი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, პროგრამაზე არის თუ არა დაშვებული საბაკალავრო ან საკურსო ნაშრომი. გარდა ამისა, რომელი კრედიტების ხარჯზე ხდება უცხო ენის ახლიდან სწავლება. თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ ოფიციალურად დაწესებულებას არა აქვს საბაკალავრო პროგრამებზე

საბაკალავრო ნაშრომი, თუმცა ეს კომპენსირდება სხვადასხვა კურსებში შესაბამისი პრაქტიკის ანგარიშით და პრეზენტაციებით. ასეთია დაწესებულების პოლიტიკა. ოცი კრედიტის მოცულობით უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს უცხო ენის ათვისებას, რომელიც მოიცავს პირველი ოთხ სემესტრს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უცხო ენის ჯგუფებში სტუდენტების გადანაწილება ხდება სხვადასხვა დონის შესაბამისად. დაწესებულებამ დაამატა „A1“-ის სილაბუსები ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებში იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი აირჩევს კიდევ სხვა ენას. საბჭოს წევრმა ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტს დისტანციურ სწავლებასთან და მის მონიტორინგთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ფარავდა თუ არა მინისტრის მიერ მიღებული ბრძანებები COVID-19-ის პანდემიის პერიოდში იმ რეკომენდაციას, რომელიც 2022 წელს გაიცა. ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ წინა დოკუმენტები თარიღდება ექსპერტების ვიზიტამდე. სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ თავდაპირველად იყო პრობლემები დისტანციურ სწავლებასთან, თუმცა ფარავდა აღნიშნული ბრძანებები იმ რეკომენდაციას, რომელიც 2022 წელს გაიცა. თუ კორდაქემ ხაზი გაუსვა იმას, რომ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც 2011 წლიდან „Google Teams“-ის ოფიციალური წარმომადგენელია. შესაბამისად, პანდემიის დროს ონლაინ სწავლება ყოველგვარი ხარვეზის გარეშე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, დაწესებულებაში მოქმედებდა განათლების მინისტრის ბრძანებები, რომლებსაც ყველა უნივერსიტეტი ხელმძღვანელობდა და ითვალისწინებდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:13

დასრულების დრო: 17:22

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის, შესაბამის დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტის შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული. ამასთან, საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევა:

- სასურველია, სამომავლოდ, დაწესებულებამ გაითვალისწინოს საკვალიფიკაციო საბაკალავრო ნაშრომის წარმოდგენა „სატრანსპორტო საშუალებების სერვისისა და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში.

5. მეხუთე საკითხი: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 03 ნოემბრის სხდომის №1492279 ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების დაკონკრეტების მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა დააყენა შუამდგომლობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 03 ნოემბრის სხდომის №1492279 ოქმში ცვლილების შეტანის შესახებ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების დაკონკრეტების მიზნით.

მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის 2023 წლის 20 ოქტომბრის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №1492279,03/11/2023) განხილვის შემდეგ, ანგარიში არ იქნა ცნობად მიღებული. საბჭომ იშუამდგომლა ცენტრთან 2 (ორი) თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების შესახებ, თუმცა საბჭოს ოქმში არ მომხდარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შესასრულებელი რეკომენდაციების დაკონკრეტება. აღნიშნული რეკომენდაციები სრულად იდენტიფიცირებადი იყო აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნის მიხედვით და დაწესებულებამ ცენტრს წარმოუდგინა შემდეგი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში.

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კურიკულუმში წარმოდგენილი ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამის დოკუმენტთან;
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ შინაარსი. აღნიშნული კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისი თემატიკა შეირჩეს იმგვარად, რომ სტუდენტებს მიეცეთ ადამიანური რესურსების მართვის განათლების კონტექსტში გააზრების შესაძლებლობა;
3. გადაიხედოს არჩევითი კურსების ბლოკები. გადაჯგუფდეს სასწავლო კურსები ბლოკებში შესაბამისი სფეროების მიხედვით და განისაზღვროს შესაბამისი სათაურები.
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსის სილაბუსები, კურსის ფარგლებში შეთავაზებული თემების გადაფარვის გამორიცხვის მიზნით და განისაზღვროს რელევანტური მოცულობის თემატიკა;
5. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იქნას ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსების შესაბამისად;
6. რეკომენდირებულია პროგრამის დადარება ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, სურდათ თუ არა რაიმე საკითხის დაზუსტება.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, სურდათ თუ არა რაიმე საკითხის დაზუსტება.

დაწესებულების წარმომადგენლებს არ დაუფიქსირებიათ პოზიცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:23

დასრულების დრო: 17:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 03 ნოემბრის სხდომის №1492279 ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების დაკონკრეტების მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 03 ნოემბრის სხდომის №1492279 ოქმში და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამას განესაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კურიკულუმში წარმოდგენილი ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამის დოკუმენტთან;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ შინაარსი. აღნიშნული კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისი თემატიკა შეირჩეს იმგვარად, რომ სტუდენტებს მიეცეთ ადამიანური რესურსების მართვის განათლების კონტექსტში გააზრების შესაძლებლობა;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს არჩევითი კურსების ბლოკები. გადაჯგუფდეს სასწავლო კურსები ბლოკებში შესაბამისი სფეროების მიხედვით და განისაზღვროს შესაბამისი სათაურები.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსის სილაბუსები, კურსის ფარგლებში შეთავაზებული თემების გადაფარვის გამორიცხვის მიზნით და განისაზღვროს რელევანტური მოცულობის თემატიკა;
- რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იქნას ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსების შესაბამისად;
- რეკომენდირებულია პროგრამის დადარება ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:26 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
მესხი შალვა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

